თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6705004

ნომერი: AR1983153

თარიღი : 08.08.2023

გაცემის თარიღი : 11.10.2023

გაცნობის თარიღი : 12.10.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 108;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ქოქოსაძე პ/ნ 01008017751
- ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ.#43, ბ.44.

ორგანიზაცია:

- შპს ბიდლ კოდი: 400157879

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 08 აგვისტოს №AR1983153 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2021 წლის 08 ივნისის №5440645 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 16 აგვისტოს №6615843 ბრძანებით, 2023 წლის 19 სექტემბრის №6668321 და 2023 წლის 09 ოქტომბრის №6701108 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. კერძოდ, დაგევალათ 2021 წლის 08 ივნისის №5440645 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმების იდენტური არქიტექტურული გეგმების წარმოდგენა მხოლოდ შესწორებული ფართობების დატანით (გეგმარების შეცვლის გარეშე). ამასთან, ფართები დატანილი უნდა ყოფილიყო შიდა კონტურზე, სავენტილაციო შახტებისა და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობების ფართობების გარეშე.

განმეორებით წარმოდგენილ განცხადებაში არ იქნა ხარვეზები გამოსწორებული. კერძოდ, საცხოვრებელ ფართებში კვლავ შეყვანილია სავენტილაციო შახტების და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობების ფართობები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია და სამსახურის მიერ რამდენჯერმე მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ იქნა გამოსწორებული, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2023 წლის 08 აგვისტოს №AR1983153 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.